

**სს „პაშა ბანკი საქართველო“
შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება**

*მიმოხილვითი შემოწმების ანგარიში
შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება
30 ივნისი, 2015 წ.*

შინაარსი

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმების ანგარიში

შემოკლებული ფინანსური მდგომარეობის შუალედური ანგარიშგება	2
შემოკლებული სრული შემოსავლის შუალედური ანგარიშგება.....	3
შემოკლებული კაპიტალის ცვლილებების შუალედური ანგარიშგება	4
შემოკლებული ფულადი ნაკადების შუალედური ანგარიშგება	5

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	6
2. მოზადების საფუძველი.....	6
3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში.....	7
3. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8
4. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	9
5. კლიენტებზე გაცემული სესხები	9
6. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.....	11
7. ძირითადი საშუალებები.....	12
8. არამატერიალური აქტივები	13
9. სხვა აქტივები და ვალდებულებები.....	14
10. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე.....	15
11. ვალდებულებები კლიენტების წინაშე.....	15
12. გადასახადები	16
13. კაპიტალი.....	18
14. პირობითი ვალდებულებები.....	19
15. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან.....	21
16. თანამშრომლებზე გაწეული, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	21
17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	22
18. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	27
19. კაპიტალის ადეკვატურობა	29

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმების ანგარიში

სს „პაშა ბანკი საქართველოს“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩავატარეთ შპს „პაშა ბანკი საქართველოს“ თანდართული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მომზადებული შემოკლებული შუალედური ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული ექვსთვიანი პერიოდის შემოკლებული სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების შუალედური ანგარიშგებისგან და შერჩეული გამარტებითი შენიშვნებისგან.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის - ბასს 34-ის „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ (შემდგომში „ბასს 34“) მიხედვით. ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვითი შემოწმების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მიმოხილვითი შემოწმების მასშტაბი

შემოწმებას წარვმართავდით მიმოხილვითი შემოწმების ჩატარების 2410-ე საერთაშორისო სტანდარტის „საწარმოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვითი შემოწმება“ შესაბამისად.

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება ძირითადად გულისხმობს საფინანსო და საბუღალტრო საკითხებზე პასუხისმგებელი პირების გამოკითხვას და ანალიტიკური თუ სხვა მიმოხილვითი პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვითი შემოწმება თავისი მასშტაბით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებაზე გაცილებით უფრო მცირეა და ამიტომ იგი არ გვამლევს საშუალებას, მოვიპოვოთ იმის რწმუნება, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა ის არსებითი საკითხი, რომლებიც აუდიტის პროცესში ვლინდება ხოლმე. შესაბამისად, არ გამოვთქვამთ აუდიტორულ მოსაზრებას.

დასკვნა

მიმოხილვითი შემოწმების პროცესში არ აღმოგვიჩენია მიზეზები, რომლებიც თანდართული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ბასს 34-ის „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ შესაბამისად მომზადებაში ექვის შეტანის საფუძველს მოგვცემდა.

შემოკლებული ფინანსური მდგომარეობის შუალედური ანგარიშგება

2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

		<i>2015 წლის 30 ივნისისთვის (არააუდიტი- რებული)</i>		<i>31 დეკემბერი, 2014 წ.</i>
	<i>შენიშვნა</i>			
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	29,001		7,100
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	5	17,919		13,700
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	108,486		51,836
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7	94,411		76,219
ძირითადი საშუალებები	8	3,454		4,047
არამატერიალური აქტივები	9	1,816		1,097
სხვა აქტივები	10	593		1,208
		255,680		155,207
ჯამური აქტივები				
ვალდებულებების				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	11	150,022		52,982
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	12	10,939		5,197
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	13	59		98
სხვა ვალდებულებები	10	320		386
გარანტიებისა და აკრედიტივების ანარიცხები		15		59
		161,355		58,722
სულ ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	103,000		103,000
დაგროვილი დანაკლისი		(8,089)		(6,789)
სხვა რეზერვები		(586)		274
		94,325		96,485
სულ კაპიტალი		94,325		96,485
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		255,680		155,207

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ:

შაჰინ მამადოვი

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ჩინგიზ აბდულაევი

ფინანსური მართვის განყოფილების უფროსი

31 აგვისტო, 2015 წ.

6-31 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შემოკლებული სრული შემოსავლის შუალედური ანგარიშგება

2015 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

		<i>ექვსთვიანი პერიოდისთვის 2015 წლის 30 ივნისისთვის (არააუდიტი- რებული)</i>	<i>ექვსთვიანი პერიოდისთვის 2014 წლის 30 ივნისი (არააუდიტი- რებული)</i>
	<i>შენიშვნა</i>		
საპროცენტო შემოსავალი			
კლიენტებზე გაცემული სესხები		3,922	604
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		2,692	1,263
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		891	801
		7,505	2,668
საპროცენტო ხარჯი			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(1,508)	(281)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		(99)	(4)
		(1,607)	(285)
		5,898	2,383
წმინდა საპროცენტო შემოსავალი			
პროცენტთან აქტივებზე გაუფასურების ზარალის ანარიცხების შექმნა	6	(2,211)	(70)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის შემდეგ		3,687	2,313
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა:			
- გარიგებები		23	40
- საკურსო სხვაობები		(955)	44
სხვა საოპერაციო შემოსავალი		38	1
არასაპროცენტო (ზარალი)/შემოსავალი		(894)	85
წმინდა საკომისიო შემოსავალი/(ხარჯი)	16	110	(3)
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	17	(1,765)	(916)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,640)	(1,097)
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	(883)	(835)
ანარიცხები გარანტიებისა და აკრედიტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალისთვის		43	-
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას განცდილი ზარალი	6	-	(3,206)
არასაპროცენტო ხარჯი		(4,135)	(6,057)
ზარალი მოგების გადასახადის გამოჭკითვამდე		(1,342)	(3,659)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	13	42	(3)
პერიოდის წმინდა ზარალი		(1,300)	(3,662)
სხვა სრული შემოსავალი			
<i>სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება:</i>			
გასაყიდად გამიზნული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული არარეალიზებული წმინდა ზარალი		(857)	-
გასაყიდად გამიზნული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა ზარალის მოგების გადასახადით დაბეგვრის ეფექტი	13	(3)	-
წლის სრული ზარალი		(2,160)	(3,662)

6-31 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შემოკლებული კაპიტალის ცვლილებების შუალედური ანგარიშგება

2015 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დანაკლისი	სხვა რეზერვები	სულ კაპიტალი
2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	35,000	(2,991)	–	32,009
სააქციო კაპიტალის გამოშვება (არააუდიტირებული)	68,000	–	–	68,000
სრული ზარალი 2014 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის (არააუდიტირებული)	–	(3,662)	–	(3,662)
2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (არააუდიტირებული)	103,000	(6,653)	–	96,347
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	103,000	(6,789)	274	96,485
სრული ზარალი 2015 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის (არააუდიტირებული)	–	(1,300)	(860)	(2,160)
2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (არააუდიტირებული)	103,000	(8,089)	(586)	94,325

6-31 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შემოკლებული ფულადი ნაკადების შუალედური ანგარიშგება

2015 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	<i>ექვსთვიანი პერიოდისთვის 2015 წლის 30 ივნისისთვის (არააუდი- ტირებული)</i>	<i>ექვსთვიანი პერიოდისთვის 2014 წლის 30 ივნისი (არააუდი- ტირებული)</i>
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	8,856	1,436
გადახდილი პროცენტი	(1,517)	(355)
მიღებული საკომისიო	254	19
გადახდილი საკომისიო	(101)	(45)
უცხოურ ვალუტაში შემდგარი გარიგებებიდან ზარალით შემცირებული რეალიზებული შემოსულობა	23	40
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	(1,740)	(1,043)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,731)	(1,269)
სხვა მიღებული შემოსავალი	38	1
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/ საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	4,082	(1,216)
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება</i>		
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(1,433)	(13,495)
კლიენტებზე გაცემული სესხები	(52,361)	(27,263)
სხვა აქტივები	-	6
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>		
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	87,367	23,783
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	4,871	1,431
სხვა ვალდებულებები	(204)	407
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	42,322	(16,347)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა	(77,551)	(69,017)
შემოსულობა გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან	57,106	16,577
ძირითადი საშუალებების შეძენა	8 (214)	(79)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(146)	(607)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(20,805)	(53,126)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
შენატანი საწესდებო კაპიტალში	14 -	68,000
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	-	68,000
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	384	3
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	21,901	(1,470)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისი	4 7,100	4,425
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო	4 29,001	2,955

6-31 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „პაშა ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) დაფუძნდა 2012 წლის 17 დეკემბერს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედი სააქციო საზოგადოება. ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდეგში „სებ“-ი) მიერ 2013 წლის 17 იანვარს გაცემული საბანკო ლიცენზიით.

ბანკი იღებს ანაზრებს, გაცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და სთავაზობს სხვა საბანკო მომსახურებას თავის კომერციულ კლიენტებს. 2014 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკი საქართველოში ერთი მომსახურების ოფისითაა წარმოდგენილი. ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0108, რუსთაველის გამზირი 15.

2015 წლის 30 ივნისისა და 2014 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკის ერთპიროვნული მფლობელი იყო აზერბაიჯანული კომპანია ლსს „პაშა ბანკი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). ბანკის საბოლოო მფლობელები არიან ქ-ნი ლეილა ალიევა და ქ-ნი არზუ ალიევა, რომლებიც ბანკზე ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

2015 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი („ბასს“) 34-ის „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ შესაბამისად.

ბანკს აღრიცხვის წარმოება და მარეგულირებელი ორგანოებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ლარში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად მოეთხოვება. შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას და განმარტებით შენიშვნას, რაც წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის მოითხოვება, ამიტომ ის ბანკის 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად უნდა იქნეს წაკითხული. წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გარდა, რომლებიც ასახულია სამართლიანი ღირებულებით.

წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება იმ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ბანკმა გამოიყენა 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გარდა 2015 წლის 1 იანვრისთვის მიღებული ახალი სტანდარტებისა, რომლებსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ: ბანკს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ამ ცვლილებების ხასიათი და გავლენა აღწერილია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და ცვლილებები 2015 წელს პირველად შედის ძალაში, მათ არ აქვთ არსებითი გავლენა ბანკის წლიურ ანგარიშგებაზე ან მის შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ახალი სტანდარტისა და ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

ფასს (IFRS) 13 „მოკლევადიანი დებიტორული და კრედიტორული დავალიანება“ – ფასს 13-ის ცვლილება

ფასს 13-ის გაუმჯობესება „დასკვნის საფუძველში“ განმარტავს, რომ დაუდგენელი საპროცენტო განაკვეთის მქონე მოკლევადიანი დებიტორული და კრედიტორული დავალიანების შეფასება შეიძლება ინვოისის თანხების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, როდესაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა. ეს შეესაბამება ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკას და ამიტომ აღნიშნული ცვლილება არ ახდენს გავლენას ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ბასს (IAS) 16 „ძირითადი საშუალებები“ და ბასს (IAS) 38 „არამატერიალური აქტივები“

ცვლილება რეტროსპექტულად გამოიყენება და განმარტავს ბასს 16-სა და ბასს 38-ში, რომ აქტივი შეიძლება გადაფასდეს საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით მთლიანი ან წმინდა საბალანსო ღირებულებით. ამასთან, დაგროვილი ცვეთა ან ამორტიზაცია წარმოადგენს სხვაობას აქტივის მთლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის. მიმდინარე შუალედურ პერიოდში ბანკს არ აღურიცხავს გადაფასებასთან დაკავშირებული კორექტირებები.

ბასს (IAS) 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“

ცვლილება რეტროსპექტულად გამოიყენება და განმარტავს, რომ მმართველი სამეურნეო სუბიექტი (ანუ სამეურნეო სუბიექტი, რომელიც უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობით ამარაგებს საწარმოს) არის დაკავშირებული მხარე და ამიტომ მასზე უნდა გავრცელდეს დაკავშირებული მხარის განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნა. გარდა ამისა, საწარმო, რომელიც გამოიყენებს მმართველი სამეურნეო სუბიექტის მომსახურებას, ვალდებულია წარმოადგინოს მართვის მომსახურების ხარჯის განმარტებითი შენიშვნები. ბანკისთვის ეს ცვლილება არ არის აქტუალური, რადგან იგი არ იღებს სხვა სამეურნეო სუბიექტებისგან მართვის მომსახურებას.

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 13 „სამართლიანი ღირებულებით შეფასება“

ცვლილება გამოიყენება პერსპექტიულად და განმარტავს, რომ ფასს 13-ით გათვალისწინებული პორტფელის გამონაკლისი შეიძლება გავრცელდეს არა მხოლოდ ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე, არამედ სხვა კონრაქტებზეც ფასს 9-ის (ან, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ბასს 39-ის) ფარგლებში. ბანკი არ იყენებს ფასს 13-ით გათვალისწინებულ პორტფელის გამონაკლისის პირობას.

ეფექტური ფასს-ების მნიშვნელობა – ცვლილებები ფასს (IFRS) 1-ში

ცვლილება „დასკვნის საფუძველში“ განმარტავს, რომ საწარმოს შეუძლია გააკეთოს არჩევანი და გამოიყენოს ან არსებული სტანდარტი, ან ახალი სტანდარტი, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, მაგრამ მისი წინასწარ გამოყენება ნებადართულია, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია, რომ ეს სტანდარტი უწყვეტად იყოს გამოყენებული საწარმოს მიერ ფასს-ის მიხედვით მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საანგარიშო პერიოდებისთვის. ფასს 1-ში შესული ეს ცვლილება არ არის აქტუალური ბანკისთვის, რადგან ეს უკანასკნელი უკვე იყენებს ფასს-ს.

3. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	30 ივნისი, 2015 წ. (არააუდიტი- რებული)	31 დეკემბერი, 2014 წ.
ნადდი ფულის ნაშთი სალაროში	650	487
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	1,013	68
მიმდინარე ანგარიშები საკრედიტო დაწესებულებებში	2,481	666
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო	24,857	5,879
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	29,001	7,100

2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების 11.485% ლარშია გამოხატული (2014 წლის 31 დეკემბერი: 26.98%). საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშებისა და ვადიანი ანაზრების ნაშთი შედგება პროცენტიანი საკორესპონდენტო ანგარიშის ნაშთებისგან რეზიდენტ ბანკებში 29 ათასი ლარისა და 24,856 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად (2014 წლის 31 დეკემბერი: 129 ათასი ლარი და 5,879 ათასი ლარი), და უპროცენტო საკორესპონდენტო ანგარიშის ნაშთებისგან რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებში, შესაბამისად, 2,348 ათასი ლარისა და 105 ათასი ლარის ოდენობით (2014 წლის 31 დეკემბერი: 150 ათასი ლარი და 387 ათასი ლარი, შესაბამისად).

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

	<i>30 ივნისი, 2015 წ. (არააუდიტირებული)</i>	<i>31 დეკემბერი, 2014 წ.</i>
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	12,827	2,595
ვადიანი დეპოზიტები	5,092	11,105
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	17,919	13,700

ვადიანი ანაზრები მოიცავს ადგილობრივ ადაგილობრივ კომერციულ ბანკებში განთავსებულ ანაზრებს ლარში, აშშ დოლარსა და ევროში, რომელთა ვადაც 2015 წლის აგვისტოდან 2015 წლის სექტემბრამდე, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთები 4.2%-დან 4.4%-მდე მერყეობს (2014 წლის 31 დეკემბერი: წლიური 5.5%-დან წლიურ 10%-მდე).

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო პროცენტიანი დეპოზიტის გახსნა საკრედიტო დაწესებულების მიერ კლიენტებისგან შესაბამის ორკვირიან ვადაში ეროვნულ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 10.00%-ისა და უცხოურ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 15.00%-ის ოდენობით.

ბანკის უფლება ამგვარი დეპოზიტების გამოტანასთან დაკავშირებით კანონმდებლობით იზღუდება.

5. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	<i>30 ივნისი, 2015 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2014 წ.</i>
კერძო საწარმოები	70,622	32,968
სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები (უცხოური სახელმწიფოების ჩათვლით)	40,397	19,267
ფიზიკური პირები	77	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	111,096	52,235
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(2,610)	(399)
კლიენტებზე გაცემული სესხები	108,486	51,836

კლიენტებზე გაცემულ სესხებს განეკუთვნება მშობელი კომპანიისგან 2014 წლის 5 ივნისს მიღებული სინდიცირებული სესხი. შემენისას მშობელი კომპანიისთვის გადახდილი თანხა 15,731 ათას ლარს შეადგენდა. სესხი თავდაპირველად აღიარებული იყო სამართლიანი ღირებულებით, რომლის სავარაუდო ოდენობა 12,525 ათას ლარს შეადგენდა. ამ სესხთან დაკავშირებით თავდაპირველი აღიარებისას მიღებული ზარალი 3,206 ათასი ლარის ოდენობით არის აღიარებული 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. 2015 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში, სესხის ღირებულების შემდგომი გაუარესების გამო, ბანკმა დამატებით აღიარა 1,495 ათასი ლარის გაუფასურება.

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. კლიენტებზე გაცემული სესხები (გარძელება)

2015 წლის 30 ივნისისთვის ბანკის მსესხებლების ოთხი უმსხვილესი ჯგუფისგან მისაღები თანხების საერთო ოდენობა 85,313 ათას ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 76.79%-ია (2014 წლის 31 დეკემბერი: მსესხებლების სამ ჯგუფზე გაცემული სესხების კონცენტრაცია მთლიანი სასესხო პორტფელის 74.88%-ს შეადგენდა). აღნიშნული სესხებისათვის 2,094 ათასი ლარის ოდენობის რეზერვი შეიქმნა (2014 წლის 31 დეკემბერი: 136 ათასი ლარი).

გაცემული სესხების განაწილება დარგების მიხედვით ასეთია:

	<i>30 ივნისი, 2015 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2014 წ.</i>
	<i>(არააუდიტი- რებული)</i>	
ვაჭრობა და მომსახურება	50,707	17,431
ენერჯეტიკა	32,811	16,510
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	14,940	13,000
მშენებლობა	7,164	-
არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები	5,397	3,093
ფიზიკური პირები	77	-
წარმოება	-	333
სხვა	-	1,868
	111,096	52,235

6. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ძირითადად მოიცავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სებ-ის, ასევე ქართული და აზერბაიჯანული კომერციული ბანკებისა და რეიტინგის არმქონე გარკვეული ქართული და აზერბაიჯანული კორპორაციების სასესხო ფასიან ქაღალდებს.

	<i>30 ივნისი, 2015 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2014 წ.</i>
	<i>(არააუდიტი- რებული)</i>	
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	31,346	8,163
ფინანსური ინსტიტუტების ობლიგაციები	20,742	6,197
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	16,824	53,392
ფინანსური ინსტიტუტების სადეპოზიტო სერტიფიკატები	11,452	3,815
კორპორატიული ობლიგაციები	7,627	4,652
სადეპოზიტო სერტიფიკატები სებ-ში	6,420	-
	94,411	76,219

გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების დინამიკა ასეთი იყო:

	<i>კომპიუტერული</i>					<i>სულ</i>
	<i>ავეჯი და მოწყობილობები</i>	<i>ტექნიკა და აღჭურვილობა</i>	<i>სატრანსპორტო საშუალებები</i>	<i>სხვა აღჭურვილობა</i>	<i>საიჯარო გაუმჯობესებები</i>	
თვითღირებულება						
31 დეკემბერი, 2013 წ.	1,767	2,209	116	431	1,908	6,431
შემოსვლები (არააუდიტირებული)	39	34	-	6	-	79
30 ივნისი, 2014 წ. (არააუდიტირებული)	<u>1,806</u>	<u>2,243</u>	<u>116</u>	<u>437</u>	<u>1,908</u>	<u>6,510</u>
31 დეკემბერი, 2014 წ.	1,818	2,279	116	447	1,908	6,568
შემოსვლები (არააუდიტირებული)	7	68	133	4	2	214
30 ივნისი, 2015 წ. (არააუდიტირებული)	<u>1,825</u>	<u>2,347</u>	<u>249</u>	<u>451</u>	<u>1,910</u>	<u>6,782</u>
დაგროვილი ცვეთა:						
31 დეკემბერი, 2013 წ.	(269)	(324)	(20)	(54)	(283)	(950)
ცვეთის დანარიცხი (არააუდიტირებული)	(221)	(269)	(14)	(43)	(227)	(774)
30 ივნისი, 2014 წ. (არააუდიტირებული)	<u>(490)</u>	<u>(593)</u>	<u>(34)</u>	<u>(97)</u>	<u>(510)</u>	<u>(1,724)</u>
31 დეკემბერი, 2014 წ.	(718)	(872)	(49)	(141)	(741)	(2,521)
ცვეთის დანარიცხი (არააუდიტირებული)	(226)	(282)	(27)	(45)	(227)	(807)
30 ივნისი, 2015 წ. (არააუდიტირებული)	<u>(944)</u>	<u>(1,154)</u>	<u>(76)</u>	<u>(186)</u>	<u>(968)</u>	<u>(3,328)</u>
წმინდა საბალანსო ღირებულება						
30 ივნისი, 2014 წ. (არააუდიტირებული)	<u>1,316</u>	<u>1,650</u>	<u>82</u>	<u>340</u>	<u>1,398</u>	<u>4,786</u>
31 დეკემბერი, 2014 წ.	1,100	1,407	67	306	1,167	4,047
30 ივნისი, 2015 წ. (არააუდიტირებული)	<u>881</u>	<u>1,193</u>	<u>173</u>	<u>265</u>	<u>942</u>	<u>3,454</u>

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების დინამიკა ასეთი იყო:

	ლიცენზიები	კომპიუტერული პროგრამები	სულ
თვითღირებულება			
31 დეკემბერი, 2013 წ.	876	232	1,108
შემოსვლები (არააუდიტირებული)	66	–	66
30 ივნისი, 2014 წ. (არააუდიტირებული)	942	232	1,174
31 დეკემბერი, 2014 წ.	436	768	1,204
შემოსვლები (არააუდიტირებული)	3	792	795
30 ივნისი, 2015 წ. (არააუდიტირებული)	439	1,560	1,999
დაგროვილი ამორტიზაცია			
31 დეკემბერი, 2013 წ.	(58)	(15)	(73)
ამორტიზაციის დანარიცხი (არააუდიტირებული)	(48)	(13)	(61)
30 ივნისი, 2014 წ. (არააუდიტირებული)	(106)	(28)	(134)
31 დეკემბერი, 2014 წ.	(59)	(48)	(107)
ამორტიზაციის დანარიცხი (არააუდიტირებული)	(25)	(51)	(76)
30 ივნისი, 2015 წ. (არააუდიტირებული)	(84)	(99)	(183)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
30 ივნისი, 2014 წ. (არააუდიტირებული)	836	204	1,040
31 დეკემბერი, 2014 წ.	377	720	1,097
30 ივნისი, 2015 წ. (არააუდიტირებული)	355	1,461	1,816

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

9. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	<i>30 ივნისი, 2015 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2014 წ.</i>
სხვა არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გაწეული ხარჯები	283	284
საოპერაციო იჯარაზე გადახდილი ავანსები	171	150
ძირითადი საშუალებების, აღჭურვილობისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	103	752
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	27	15
სხვა	9	7
	593	1,208

31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	<i>30 ივნისი, 2015 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2014 წ.</i>
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
წარმოებული ვალდებულებები	–	204
სხვა ფინანსური ვალდებულებები	130	65
	130	269
სხვა არაფინანსური ვალდებულებები		
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	96	73
გადავადებული შემოსავალი	94	24
საგადასახადო ხარჯები, მოგების გადასახადის გარდა	–	20
	190	117
სხვა ვალდებულებები	320	386

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია ვალდებულებებად მათსავე პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივისა თუ ვალდებულების თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს. 2015 წლის 30 ივნისისთვის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები არ ფიქსირდება.

	<i>31 დეკემბერი, 2014 წ.</i>	
	<i>პირობითი თანხა</i>	<i>სამართლიანი ღირებულება</i>
სავალუტო ხელშეკრულებები		
სვოპები - შიდა	22,927	204
სულ წარმოებული ვალდებულებები	22,927	204

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

10. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე მოიცავს:

	30 ივნისი 2015 წ.	31 დეკემბერი, 2014 წ.
	(არააუდიტი- რებული)	
მშობელი კომპანიის ვადიანი ანაბრები	81,939	43,222
სებ-ის მოკლევადიანი სესხები	43,036	-
რეზიდენტი კომერციული ბანკების ვადიანი ანაბრები	19,892	9,318
არარეზიდენტი ბანკების ვადიანი ანაბრები	4,497	-
მშობელი კომპანიის მიმდინარე ანგარიში	551	442
ოვერდრაფტი რეზიდენტ ბანკებში	56	-
ოვერდრაფტი მშობელი კომპანიის მიმდინარე ანგარიშზე	51	-
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	150,022	52,982

მშობელი კომპანიის მიერ განთავსებული ვადიანი ანაბრები გამოხატულია ევროში, აშშ დოლარსა და აზერბაიჯანულ მანათში, და ვადა ეწურება 2015 წლის ივლისიდან 2017 წლის ივნისამდე პერიოდში (2014 წლის 31 დეკემბერი: მშობელი კომპანიის მიერ განთავსებული ვადიანი ანაბრები გამოხატულია ევროსა და აშშ დოლარში, და ვადა ეწურება 2015 წლის პირველ ნახევარში). მშობელი კომპანიისგან მიღებული 18,568 ლარის ოდენობის ორი ვადიანი ანაბარი გამოყენებულია 30,072 ლარის სესხის უზრუნველსაყოფად.

2015 წლის 30 ივნისისთვის ოთხი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიერ განთავსებული ვადიანი ანაბრები გამოხატულია აშშ დოლარსა და ლარში, და ვადა ეწურება 2015 წლის ივლისში (2014 წლის 31 დეკემბერი: 2014 წლის 31 დეკემბრისთვის ოთხი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიერ განთავსებული ვადიანი ანაბრები გამოხატულია აშშ დოლარში და ვადა ეწურება 2015 წლის იანვარში).

11. ვალდებულებები კლიენტების წინაშე

ვალდებულებები კლიენტების წინაშე მოიცავს:

	30 ივნისი , 2015 წ.	31 დეკემბერი, 2014 წ.
	(არააუდიტი- რებული)	
კლიენტთა მიმდინარე ანგარიშები	5,731	1,217
კლიენტების ვადიანი ანაბრები	5,208	3,980
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	10,939	5,197
გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა	1,363	-

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

12. ვალდებულებები კლიენტების წინაშე (გაგრძელება)

2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ვალდებულებები კლიენტების მიმართ მოიცავდა სამი უმსხვილესი კლიენტის ნაშთებს 7,656 ათასი ლარის ოდენობით, რაც კლიენტთა მთლიანი სახსრების 69.99%-ს შეადგენდა (2014 წლის 31 დეკემბერი: 4,819 ათასი ლარი, რაც კლიენტების მიმართ მთლიანი ვალდებულებების 92.72%-ს შეადგენდა).

12. გადასახადები

მოგების გადასახადის სარგებელი 2015 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის მოიცავს გადავადებულ საგადასახადო სარგებელს 42 ათასი ლარის ოდენობით (2014 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის გადავადებული საგადასახადო ხარჯი იყო: 3 ათასი ლარი).

ბანკის მოგება იხვერება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. კანონმდებლობით გათვალისწინებული და რეალური განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის სარგებლის ხარჯის შედარება ასეთია:

	<i>ექვსთვიანი პერიოდი, დასრულებული 2015 წლის 30 ივნისისთვის (არააუდიტი- რებული)</i>	<i>ექვსთვიანი პერიოდი, დასრულებული 2014 წლის 30 ივნისისთვის (არააუდიტი- რებული)</i>
დასაბეგრი ზარალი	(1,342)	(3,659)
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით	201	549
იმ მუხლების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც საგადასახადო მიზნებისთვის გამოქვითვას არ ექვემდებარება:		
არაგამოქვითვადი ხარჯები	(27)	(7)
გადასახადით დაუბეგრავი მოგება	270	158
ცვლილება აულიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივში	(402)	(703)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	42	(3)

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

13. გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2014 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის ექვსთვიან პერიოდში ასეთია:

